თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

რეკომენდაციები

(2017 წლის 2 ოქტომბრის სხდომა)

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებული თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია,

აკისრია რა პასუხისმგებლობა, ხელი შეუწყოს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარებას,

მნიშვნელოვან სამართლებრივ მექანიზმად თვლის 2013 წლის საპრეზიდენტო, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში მის მიერ გამოცემულ რეკომენდაციებს,

კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ ყველა საარჩევნო სუბიექტისა და კანდიდატისათვის თანაბარი კონკურენტული გარემოს არსებობა არის მნიშვნელოვანი, და

რეკომენდაციებით მიმართავს

1. **ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების საჯარო მოხელეებს:**

სამუშაო საათების განმავლობაში ან სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას თავი შეიკავონ სოციალურ ქსელებში პირადი გვერდის პოლიტიკური მოწოდებების და აგიტაციის/კონტრაგიტაციის მიზნებისთვის გამოყენებისგან და მაქსიმალურად გამიჯნონ საკუთარი პროფესიული საქმიანობა საარჩევნო პოლიტიკური პროცესებისგან.

2. **ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:**

კიდევ ერთხელ უზრუნველყონ უკვე გაცემული დეტალური და მკაფიო განმარტებების შეხსენება მათ სტრუქტურებში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეებისთვის, თუ რისი უფლება აქვთ და რა ეკრძალებათ მათ წინასაარჩევნო პერიოდში, არჩევნების დღეს და არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამება-გამოქვეყნებამდე; რა სანქციებია დაწესებული

კანონის მოთხოვნების დარღვევებზე და როგორ არის დაცული მათი არჩევანის თავისუფლება და ფარულობა.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ეთხოვოს თვითმმართველი ერთეულებისათვის ინფორმაციის კიდევ ერთხელ მიწოდება და მათთან განმარტებითი სამუშაოს წარმოება აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით.

უწყებათაშორისი კომისია, თავის მხრივ, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს შეახსენებს, რომ საჯარო მოხელეებს სამუშაო საათების განმავლობაში ან სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას ეკრძალებათ წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა. ეს აკრძალვა არ ვრცელდება მხოლოდ („საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 49-ე მუხლის მე-2 პუნქტი) ადგილობრივი ხელისუფლების იმ წარმომადგენლებზე, რომლებიც, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-2 მუხლის „ხ“ პუნქტის მიხედვით, ითვლებიან პოლიტიკური თანამდებობის პირებად. ესენი არიან: წარმომადგენლობითი ორგანოს, საკრებულოს წევრები; საკრებულოს თავმჯდომარე და აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი (მერი/გამგებელი).